ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6825126

ნომერი: AR1999630

თარიღი : 08.11.2023

გაცემის თარიღი : 28.12.2023

გაცნობის თარიღი : 28.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ქინძმარაულის II , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ გეთიაშვილი პ/ნ 01011017822
- თბილისი, შორაპნის #23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 8 ნოემბერს №AR1999630 განცხადებით მომართა ვლადიმერ გეთიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის

23 დეკემბრის №5739904 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებით, №01.19.34.003.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 4 ოქტომბრის №6693992 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 4 ოქტომბრიდან 2026 წლის 4 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, შეთანხმებული +3.90, +29.50 და +32.70 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული +3.90, +29.50 და +32.70 ნიშნულების გეგმები შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ აღნიშნული ნიშნულების გეგმებზე გამოტანილ შტამპებზე ხდება ფართობების გასწორება, რაც არ იწვევს საპროექტო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაზუსტებას. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული +3.90, +29.50 და +32.70 ნიშნულების გეგმების ჩანაცვლება წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებაში და შეთანხმებული +3.90, +29.50 და +32.70 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5739904 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.